657

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2013 წ.

(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრის ტერიტორიაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მატყოფი) საკანალიზაციო მეურნეობის მოწყობის არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული „ელექტრონული კონკურსის“ (SPA 657) შედეგების განხილვის შესახებ)

სხდომას თავმჯდომარეობდა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: მინისტრის პირველი მოადგილე
- გოგი ფაცაცია

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის წევრები:
- მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- კობა ხუბუნაია — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურდიული დეპარტამენტის უფროსი
- ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- მარინა ფოჩხუა — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- გიორგი ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:
- თენგიზ ყურაშვილი — სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- ჯულიეტა ჯიშკარიანი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- გიორგი კვანჭილაშვილი — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- გოგუცა გურული — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- შოთა რუხაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრის ტერიტორიაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მატყოფი) საკანალიზაციო მეურნეობის მოწყობის არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული „ელექტრონული კონკურსის“ (SPA 657) შედეგების განხილვა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

1. საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას გააცნო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრის ტერიტორიაზე საკანალიზაციო მეურნეობის მოწყობისთვის არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული „ელექტრონული კონკურსის“ (SPA 657) გამოცხადებისთვის განხორციელებული პროცედურების და მისი მიმდინარეობის და დასრულების შემდეგ დამდგარი შედეგების შესახებ ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ კონკურსი არ შედგა, ვინაიდან კონკურსში არ მონაწილეობდა არც ერთი პრეტენდენტი. თუმცა, კონკურსი გამოცხადდა და ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, ამასთან, საკონკურსო კომისიას წარედგინა არშემდგარი კონკურსის საკონკურსო განცხადება და საკონკურსო პირობების თაობაზე შედგენილი სრული დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიამ განიხილა:

1. არშემდგარი კონკურსის (SPA 657) საკონკურსო დოკუმენტაცია და იმსჯელა მისი არშედგომის მიზეზებზე.
2. საკითხი განხილვისას აზრი გამოთქვა მინისტრის მოადგილემ მერაბ მენაბდემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსის არშედგომის ძირითადი მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო შესყიდვის ობიექტის

დაბალი ფასი და საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის მცირე პერიოდი. შედეგად, მომავალში კონკურსი გამოცხადდეს არა ერთი, არამედ რამოდენიმე მაღალი ღირებულების ობიექტის შესყიდვაზე. ამასთან, გაიზარდოს საკონკურსო წინადადებების მოწოდების ვადაც. აღნიშნულ აზრს დაეთანხმა საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობა.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. საკონკურსო კომისიის აპარატმა:

1.1. უფრო აქტიურად ითანამშრომლოს სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან, რათა უმოკლეს ვადებში მოხერხდეს რამოდენიმე სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო ობიექტის შერჩევა და განხორციელდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სხვა საჭირო არქიტექტურულ-საინჟინრო მომსახურების შესყიდვა, კონკურსის გამოყენების საშუალებით;

1.2. განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებები არშემდგარი კონკურსის (SPA 657) თაობაზე.

1.3. სამინისტროს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, არშემდგარი კონკურსის (SPA 657) თაობაზე, გააგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართზე - contest@procurement.gov.ge.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

საკონკურსო კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა ხუბუნაია

კახაბერ ჩხარტიშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

ზაზა იმედაშვილი

დავით ლოლაძე

მარინა ფოჩხუა

გიორგი ნაჭყებია

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

თენგიზ ყურაშვილი

ჯულიეტა ჯიშკარიანი

გიორგი კვანჭილაშვილი

გოგუცა გურული

შოთა რუხაძე

მაიკო მიქაია